

დამტკიცებულია

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
დადგენილება #16 ოქმი #16 “11 ეკი 2013 წელი”
სპიკერი, ასოც. პროფესორი
საჯარო სამართლის იურიდიული მინის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული სამსახურის (იურისტის) და გულება



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) იურიდიული სამსახური (შემდგომში – იურისტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარეპერსონალს.
2. იურისტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. იურისტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. იურისტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. იურისტის საქმიანობის სფერო, ფუნქციები და ამოცანებია:
 - ა) უნივერსიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში მოსამზადებელი ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
 - ბ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
 - გ) კონტროლი და კოორდინაცია უნივერსიტეტის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაზე, მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე;
 - დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტების უპირატესი იურიდიული მალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
 - ე) უნივერსიტეტის წარმომადგენლობა და მისი ინტერესების დაცვა სასამართლოებში, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში.
- 2) თავის კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადების განხილვა და მათ განხილვაში მონაწილეობა;
- ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებები ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
- თ). ასრულებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 3. იურისტის შრომით-სამარათლებრივი ურთიერთობები

1. იურისტის, როგორც დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
2. იურისტის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსისა და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. სამსახურებრივი პასუხისმგებლობა

იურისტი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე, საქმიანობის პროცესში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე და მისი მიზეზით უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალისათვის. ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. იურისტის სამსახურებრივ დებულებას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
2. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.